სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო კარვასლა

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10-3 საათამდე და საღამოს 6—7 „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

უდ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.

თითო ნომერი 3 კაპიკი

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.

Телефонъ № 363

წლის დამლევამდე

გაზეთი „ცნობის ფურცელი"

ღირება 4 მან.

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი



**ქეფირი და კუმისი**



ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ თ. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—18) თ. კორონა.

**ექიმი**

კ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ **К. М. Чиковани**

Михайлов., № 16.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ხ. ბ. თოფურია**

*Лѣчебница В. С. Топурiа* въ Кутаисѣ.

სამკურნალო და ამბულატორია

**ბ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ხ. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **შ. ქ. ზერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.** თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

# ახალი ამბავი

*** **ქალაქის საქმე.** გამოძიება ქალაქის გამგეობის ბოროტ მოქმედების შესახებ თან-და-თან წინ მიდის, ამ ჟამად გამომძიებელს საგუბერნიო კანცელარიიდან მოუთხოვნია ამ თექვსმეტი წლის საქმეები, რომელნიც შეეხებიან ბაჟის აკრებას.

*** **ფოსტის ფულის მოპარვა.** კავკავიდან მომავალ ფოსტის ეტლს მცხეთაში შეატყეს თურმე, რომ ერთის პარკიდან ფული იყო ამოღებული, მაშინათვე გამოძიებას შეუდგენ და აღმოჩნდა, რომ ფული მოეპარა მეეტლე სარქის ხაჩატურა ავეტისოვს.

*** **მატარებლის გადავარდნა ლიანდაგიდან.** გაზ. „კავკაზს" ატყობინებენ, რომ კვირას 9 მაისს ყარსის რკინის გზაზე სადგურ ნალბანდა კალთახჩის შორის მატარებელი გადავარდნილა ლიანდაგიდან, რის გამო დახოცილან მემანქანე ანტონოვი მისი თანაშემწე გოგლაძე და ვიღაც უცნობი მგზავრი. ამი კონდუკტორი თურმე მძიმედ არიან დაშავებულნი და მრავალი ვაგონები დამსხვრეულაო. გამოძიება სწარმოებს.

*** **ბ-ნი გუბერნატორი დაბრუნდა** ბორჯომიდან გუში-წინ საღამოს.

*** **რკინის გზის ლიანდაგის გაფუჭება.** მარელისა და წიფას შუა ამ უკანასკნელ ნიაღვრებს ისე გაუფუჭებია გზა, რომ გუშინწინდელმა მატარებელმა დაიგვიანა ბათომიდან ტფილისს მთელი 6 საათი. ხოლო მეორე დღეს გზა უკვე შეკეთდა და ეხლა მატარებლები რიგზე დადიან.

*** **მტკვრის ადიდება.** წვიმებისაგან მტკვარმა ძრიელ იმატა და მთელი რიყე და ახლო დაბლობი ქუჩები წყალშია. დაბლობ ადგილებში ვინც კი სცხოვრობდა პოლიციამ გადაიყვანა წყალმა ეს მეორე დღეა თუმცა იკლო, მაგრამ თუ წვიმები მოვიდა მთებში, მეტად საფიქრებელია რიყელების მდგომარეობა.

*** **საჭირო განმარტება.** ბ-ნო რედაქტორო! თქვენი გაზეთის 813 ნომერში დაბეჭდილია „თეატრის მატიანე", რომელიც არჩევს ცირკში გამართულს „სახალხო" წარმოდგენას. წერილის დასასრულ ნათქვამია შემდეგი:

„ჩვენი ქართული წარმოდგენა დღეს ერთს უგდია ხელში, ხვალ მეორეს და ამ რიგად ეს წმინდა საქმე, ნურავინ კი ნუ იწყენს, და მწველელ ფურად გაუხდიათ! ამისთანა წარმოდგენებს მხოლოდ სახელი ჰქვიანთ სახალხო თორემ სახრავი კი კერძო პირებისაა. აი სწორედ ეგ უნდა ვუსაყვედუროთ ჩვენს ქართულს კომიტეტს. რაკი იმას „სეზონის" წარმოება შეუძლიან და 2000 მ. „დეფიციტების" მოხერხება, რატომ ვერ ახერხებს სასარგებლო საქმეს, რომელიც „დეფიციტს" კი არა შემოსავალსაც აძლევს ვინც კი დაეპატრონება ხოლმე".

ქართული სახალხო წარმოდგენები, სხვათა შორის, იმართება ეს მეორე წელიწადია სახალხო კითხვათა აუდიტორიაში ავჭალის ქუჩაზე და ამიტომ ჩვენის რეცენზენტის სიტყვები ხსენებულს წარმოდგენებსაც ეხებიან

ჩვენ არას ვიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ იმართებიან სახალხო წარმოდგენები ავჭალის ქუჩაზე; სიმართლეა, რომ ისინი, ხელოვნების მხრით, ვერ იმართებიან რიგიანად და საჭიროებენ გაუმჯობესობას. ამ საგნის შესახებ სჯა იქნება, სხვათა შორის, „ქართულ დრამატ. საზოგადოების" მომავალ საზოგადო კრებაზე, რომელსაც წარედგინება მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება წარმოდგენების გაუმჯობესობა კითხვათა აუდიტორიაში... აქ ჩვენ გვინდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა მხოლოდ რეცენზენტის ცილის-წამების წინააღმდეგ .. მისი სიტყვით, „ამისთანა წარმოდგენებს მხოლოდ სახელი ჰქვიან სახალხო, თორემ სახრავი კი კერძო პირებისაა"; ეს წარმოდგენები, მისის გამოანგარიშებით, „დეფიციტს-კი არა, შემოსავალსაც აძლევს მას, ვინც დაეპატრონება ხოლმე"... არ ვიცი რამდენად სამართლიანია ეს ბრალდება სხვა სახალხო წარმოდგენათა შესახებ, მაგრამ იმ წარმოდგენათა შესახებ-კი, რომელნიც სახალხო კითხვათა აუდიტორიაში იმართებიან, რეცენზენტის სიტყვები ნამდვილი ცილის წამებაა.

ხსენებულს აუდიტორიაში რუსულსა და ქართულს წარმოდგენებს ჰმართავს „ტფილისის სახალხო კითხვათა კომისია"; ამ კომისიის წევრთაგან ამორჩეულია ორი სექცია—რუსული და ქართული—ხუთ-ხუთ კაცისაგან შემდგარი და ეს სექციები აწარმოებენ წარმოდგენების საქმეს. ზედამხედველობა და კონტროლი კომისიას ეკუთვნის. კომისიის წევრთა საზოგადო კრებაზე გადაწყვეტილია დიდი ხანია უკვე, რომ წარმოდგენებზე ბილეთების ფასი თითო შაური იყოს ადგილების მიუხედავად. პრინციპიალურად კომისიას გარდაწყვეტილი აქვს, რომ სახალხო წარმოდგენეები მუქთი იყოს, მაგ-

რამ საშუალების სიმცირის გამო ჯერ ჯერობით თითო შაურს ახდევინებს ბილეთში მხოლოდ ხარჯის დასაფარავად. სულ თითო წარმოდგენაზე შემოდის 14 მანათიდამ 16-მდე, ხარჯი თითო წარმოდგენისა ან უდრის ამავე ჯამს ან აღემატება მას, ხუთმეტი მანათი შემოსავალი და ხუთმეტი მანათი გასავალი—ძალიან „სასახრაო“ ბიუჯეტი არ არის?! შუათანა ანგარიშით, გასავალი ცოტა მეტია შემოსავალზე, ასე რომ სექციის დეფიციტები აქვს: შარშანდელ სეზონის დეფიციტი იყო 4 მან. და 90 კ., წელს, დღემდის, სექციას მანეთზე მეტი დეფიციტი აქვს; ასეთივე დეფიციტები აქვს რუსულს სექციასაც, საზოგადოთ გამოირკვა, რომ 15—16 მანათი შემოსავალი არ ჰყოფნის ხარჯს და ამიტომ უკანასკნელ საზოგადო კრებაზე „ტფილისის სახალხო კითხვათა კომისიამ“ გარდასწყვიტა სამი თუმანი თავის საშუალებიდან გარდასდოს წელიწადში რუსულისა და ქართულის წარმოდგენების დეფიციტების დასაფარავად, „სახალხო კითხვათა კომისიაში“ 50-მდე წევრი მუშაობს; ყოველმა წევრმა კარგათ იცის, რა შემოსავალი და გასავალი აქვს წარმოდგენების მმართავ სექციებს და ამიტომ კრებამ ერთხმად გარდასწყვიტა, რომ კომისიისავე მცირე საშუალებიდან გარდასდოს ყოველ-წლივ სამი თუმანი დეფიციტების დასაფარავად, საჭიროა აქვე მოვიხსენიოთ, რომ კომისიის საშუალება შედგება უმეტესად საწევრო გარდასახადიდან (3 მანათი წელიწადში), ასე რომ ქართულ და რუსულ წარმოდგენების დეფიციტი იფარება კომისიის წევრთა გარდასახადით, იმ წევრთა, რომელთაგანაც ირჩევიან თვით სექციები!.. წარმოდგენების ანგარიშები იბეჭდება ყოველ წლივ „სახალხო კითხვათა კომისიის“ ანგარიშებში, რომელნიც წარედგინებიან ხოლმე საზოგადო კრებას.

ამგვარია ავჭალის ქუჩაზე გამართულ სახალხო წარმოდგენების მატერიალური მხარე და თვით მკითხველი ჰხედავს, რამდენად ცუდათ მოიქცა „ცნობის ფურცლის“ რეცენზენტი, როდესაც თავისი ბრალისდება წამოისროლა. „სახალხო კითხვათა კომისია“ საზოგადო დაწესებულებაა და არა კერძო ანტრეპრიზა, მისი წევრები უანგაროთ ემსახურებიან საქმეს, მისი მოღვაწეობა და შესავალ-გასავალი არავისთვის დაფარული არ არის, თუ ჰნებავს თქვენს რეცენზენტს, ბ-ნო რედაქტორო, მობრძანდეს ერთ-ერთ წარმოდგენაზე, ჩვენ ჩავაბარებთ მას ბილეთებს, გაჰყიდის ისინი და წარმოდგენის შემდეგ გაისტუმროს ყოველი ხარჯი, ერთი სიტყვით მოიქმედოს ის, რასაც კომისიისა და სექციის მორიგი წევრები ასრულებენ, და შემდეგ ამისა საქვეყნოდ გამოაცხადოს, სოგორი „სახრავი“ დარჩება მას!

დასასრულ არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ გისაყვედუროთ თქვენ პირადათ, ბ-ნო რედაქტორო! არც ერთ წევრს კომისიისას (უმთავრესი ნაწილი რომელთაგან—რუსებია) არ სწყენია ის, რომ ვიღაც „მეგობარმა“ მოუფიქრებლად დასწერა რაც არ იცოდა, მაგრამ ყველას საწყენად დარჩა ის გარემოება, რომ ქართული გაზეთი, მის მაგიერ, რომ ხელს უწყობდეს ახალს საქმეს, რომლის სამსახურისთვის ვიწვევთ ყველას, ყველას თავი მოვაბეზრეთ, ყველას კალთა ჩამოვაგლიჯეთ,—ქართული გაზეთი ადგილს აძლევს ზემოდ ხსენებულ წერილს და ამით აფრთხობს იმ რამდენიმე კაცსაც, რომელთაც თავს უდვიათ ძნელი საქმე.*)

სახალხო კითხვათა კომისიის წევრი
გ. ლასხიშვილი.

*) ჩვენ სრულებით თანაუგრძნობთ გ. ლასხიშვილის მართებულს გულის წყრომას, თუმცა გადაჭარბებული არა ვარგარა და ბ-ნი ლასხიშვილის წერილი კი მოწმობს მეტის-მეტს და სამწუხაროდ უსაბუთოდ განრისხებას. საქმე ის არის, რომ როგორც ჩვენ ისე ჩვენს მოამბეს სრულებით არ ჰქონია საჩეში «სახალხო კითხვათა კომისიის» წარმოდგენები და თუ ბრალი გვაქვს რაშიმე, ეგ მხოლოდ იმაშია, რომ შენიშვნაში არ იყო განსაზღვრული „სახალხო კითხვათა კომისიის» წარმოდგენები სხვებისგან. ბ-ნმა ლასხიშვილმა და მის ამხანაგებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ არა ნაკლებ მათზე გვიყვარს სახალხო საქმე და სწორედ ამ სიყვარულმა დაგვაბეჭდინა ბ-ნი «მეგობრის» შენიშვნა; ყოველ შემთხვევაში ჩვენ გვიხარიან რომ ბ-ნ ლასხიშვილს შემთხვევა მიეცა ქებით მოეხსენებია ის უანგარო მოღვაწენი, რომელნიც მასთან ერთად ემსახურებიან განათლებას...

რედ.

* * **ქ. ოზურგეთი**. არაჩვეულებრივი კრება მკრედიტეთა ამხანაგობისა. როგორც უკვე დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთებში უკანასკნელ კრებაზე არჩეულ იქმნენ გამგედ ბ. წუწუნავა, მოლარედ ბ. კ. შავიშვილი და ზედამხედველად ბ. დ. მურკანიძე. პირველი და მეორე ამ საგნების დაარსებისათანავე მსახურებენ, მესამე კი ამ კრებამ აღმოარჩია. გათავდა კრება; გაიმარჯვეს მათ ვისაც სურდათ, საქმემ მიიღო ჩვეულებრივი ელფერი—ერთგულად დაუწყეს სამსახური ამ საზოგადო საქმეს. პირველ თვის ანგარიშმა 250 მანეთი მოგება აჩვენა—რასაკვირველია, ახალი ზედამხედველი მადლიერი იყო თავისა, რომ მის ხელში ეს დაცემული საქმე მატულობდა და წინ მიდიოდა. მაგრამ დახე ძველ ხრიკებსა—მეორე თვის ანგარიში კი წაგება უჩვენეს,—ამ არა მოსალოდნელმა ამბავმა ზედამხედველი შეაწუხა, მან გასინჯა წიგნები, კვიტანციები და როცა აღმოაჩინა „ფულური“ დიდი ჩხუბი და განხეთქილება მოხდა მათ შორის. ბოლოს დაახლოვებულებმა გარედ გამოაგდეს ჩვენი ზედამხედველი ამ სიტყვებით: „ვინა ხარ შენ, ვინ დაგნიშნა აქა, მე ვერ გცნობ და არც მსურს, რომ გიცნაო,“ რასაკვირველია ამის გამგონმა ბ. მურვანიძემ მიატია ისინი და წავიდა სახლში. მესამე დღეს მოიწვია წევრები (რომელთა უმრავლესი რიცხვი ვაჭრებია) და აუხსნა ამათი საქციელი და ხრიკები საზოგადო საქმეში. კრებაში დიდი ლაპარაკი ატყდა, გაიყვნენ ორ დასად, გამართეს კამათი და ორატორობა; ბოლოს იმათ გაიმარჯვეს რადგანაც მეტი ხმა იყო—კვლავ ააფრიალეს გამარჯვებითი ნიშნის დროშა. ბ. მურვანიძემ, (ეს ბატონი ცნობილია, როგორც პატიოსანი და შრომის მოყვარე კაცი.) მოახსენა კრებას: „მე აღარ შემიძლიან ვემსახურო საზოგადოებას, რადგანაც არა მაქვს ღონე რომ ყოველ წუთში მუშტით ვებრძოლო ძველ გამგეებთ და ამიტომ მივდივარ ჩემთვის, მიმაქვს ჩემი საწევრო ფული (ერგებოდა 40 მ.) მე ამ ფულს მოვახმარ რაიმე საქველ-მოქმედო საქმეს და მით ხელს შეუწყობ გაჭირვებულსო. აქ კი ახლოსაც არ გავივლი, რადგანაც ვიცი რაც ბუდობს ამ ამხანაგო-სამმართველოში, ღმერთმა ხელი მოგიმართოთო.“ „ვაშა, ვაშაო“ დაიგრიალა კარებში მდგომმა ინტელიგენტთა გუნდმა (რადგანაც შიგ [illegible] ნება არ ქონდათ.) რო [illegible] საზოგადო საქმეს ასე წარა-მარა [illegible]ტრიალებენო. ამით გათავდა მართლაც და არა ჩვეულებრივი კრება.

ბალის უბნელი.

* * **ცხინვალი**. აღარა გვაქვს სამკითხველო, აღარა გვაქვს ჩვენი სამხიარულო როტონდა, რომელშიაც ეხლა მოთავსებულია საქალებო სკოლა. მთელი დღე ახალგაზდები სამიკიტნოში ატარებენ ლოთობაში და ლანძღვა ორევაში. ქუჩაში უცხო-უცნობს ადამიანს არ გაევლება, იმ წამსვე დუქნებიდამ კიჟინას დასცემენ, და მის შემდეგ ხშირად ხანჯალი დატრიალდება ხოლმე.

საჭიროა ამისთანა აყალ-მაყალს და უმიზეზო არეულობას ადმინისტრაციის ძალით ბოლო მოეღოს. ამისთანა ცხოვრებას ზედ ემატება ქუჩების უსუფთაობა, და კარგ ამინდში ტალახი ნაგავი და წუმპე.

ზღუბირელი.

* * **ქიზიყი**. გაზაფხ[ული] და საქო-
ლის შორი. ამისთანა შიშსა [...]
განსაცდელში თვით მეზღვაურ[ნი]
და ხომალდზედ მოგზაურნიც არ
იქნებიან, რამდენ შიშსა და ვა[ი]-
ვაგლახსაც ჩვენი მეურნენი ი[...]
ლიან მთელი წლის განმავლო-
ბაში. აქ თუნდა ავიღოთ ეს მდგ[...]
იარე წელიწადი. პირველათ ზამთა-
რი კარგი იყო, მერე დიდი თო[ვ]-
ლი მოვიდა და ზედ სიცივეებ[ი]
მოჰყვა. შეშინდა მეურნეც, არ[...]
ქა დაგვიძრა სარჩო საბადებელ[ი]
ტ გაგვიწყრა ღმერთიო. მაგრამ მალ[...]
გათბა, თოვლი დადნა, განსაც-
დელს გადარჩნენ. დადგა აპრი[ლი]
და დაიწყო სიცხეები, ახლა სი[...]
ხემ შეაწუხა ჰირნახული, მოშუ[...]
მოსავალი და სულ განადგურებ[...]
უპირებდა კიდევ, რომ ბუნებას [...]
შეებრალებინა ხალხი და ამი[...]
დი არ გამოცვლილიყო. 13 აპრი-
ლიდან სიცხეები და კაშკაშა მზე-
ბი—წვიმებმა და ღრუბლიან
დღეებმა შესცვალა და ცოტა მ[...]
ურნეთაც თავისუფლად ამოისუნ[თ]-
ქეს, მაგრამ ახლა სხვა ჭირი გა-
ჩნდათ და ისევ დაღონდა ხალხ[ი].
ზოგიერთ ქიზიყის სოფლებში [...]
ქონელს ისევ სიცხეების დრო[ს]
ტკიპი გაუჩნდა, ანადგურებდა [...]
ნაურ პირუტყვს, სოფ. კარდან[ახ]-
ში კი ნორჩ ვაზზე რაღაც სატ[...]
ვარი შენიშნეს, რომელმაც ნ[...]
ბარი ფოთლები მოთუთქა. ხალ[ხი]
მაშინათვე დაფაცურდა, ხან იქ[...]
ეცა, ხან აქეთ, მიზეზი ვერა გა[...]
გეს რა. ჩვენ ადგილობრივ არ გვ[...]
ნახავს, მაგრამ სიღნაღში ამო[...]
ნილი ვაზის რქებიდან და ფო[თ]-
ლებიდან კი, რომელიც სხვა [...]
შუალების უქონლობით, მესაათ[...]
გამადიდებელ შუშის შემწეობ[ით]
გავშინჯეთ და დავრწმუნდით, რ[ომ]
ეს სენი იმდენათ საშიში არ იყ[ო]
ძრიელ იშვიათად თუ ის დიდ [...]
რალს მოუტანს მევენახეს. ჩვენ[ი]
აზრით ის ვენახის ჰია იყო, რ[ო]-
მელიც ფოთლებზე ბუდეს იკეთ[ებს]
და კვერცხებს სდებს. ეს ჰაა ახ[...]
წუწნებს ფოთლებს და მერე ახმო[ბს]
მგონი რომ ამას მცოდნე ხალ[ხი]
Fitoptus Sitis უწოდებს.

ჯერ რადგან ფოთოლი ძრი[ელ]
ნორჩი იყო, კარგათ კიდევ არ [...]
ნეოდა, მხოლოდ ფოთოლი კა[...]
სამჩნევათ იყო მოთუთქული [...]
დიდი შიშის ზარიც დასცა ხალ[ხს]
ჩვენი აზრი მართალი გამოდგა [...]
როგორც ეჭვი შევიტანეთ სა[...]
ვარი მალე შედგა, მალე იკლო [...]
დიდი ვნება არ მოუტანია, თუმც[ა]
ურიგო არ იქნება ვისიც ჯერ[...]
ყურადღება მიაქციონ და გა[...]
ხულზე ქიზიყსა და კახეთში კ[ა]-
იყოლიონ ხოლმე მცოდნე, რ[...]
ამისთანა შემთხვევაში ხალხს [...]
გებინოს ან რა სენია, ან რა [...]
გებს და რითი განიკურნება. მ[...]
ნი ინსტრუქტორები უნდა იმყ[ოფებოდნენ]

ნენ ქიზიუში, ნეტა თუ არინა ილა რატომ ხალხს არ ეცნო-, და რას იმალებიან?! რო-ცა ვთქვით, ამ ორ ჭირს და-იენით, თუმცა ორივემ თავისი ია დაგვასვა, ნამეტნავათ საქო-ი დაგვაკლდა ბლომათ, მაგრამ არ თავდება მეურნეთა შიში ანსაცდელი. რაც მეტი დრო ს და მოსავალს მეტი პირი ს, იმდენათ მეურნეს შიში და რიც უორკეცდება. აი ეს მაი-ვარდობის თვე ხომ საამური ანატრელია ყველა სულდგმუ-ათვის შეზავებული ჰავით, მაგ-მეურნე და ნამეტნავათ მევე-უფრო ეხლა არის შიშსა და ის ფანცქალში, რადგან მო-ებულ ნაწილათ სეტყვა მაის-აფუჭებს ხოლმე ვენახებს.

გ. იესეევი

** ს. ზანა. (სამეგრელო) მად-ის გამოცხადება. ბ. რედაქ-რო! უმორჩილესად გთხოვთ ნე-ვაბოძოთ თქვენი დიდათ პა-ცემულ გაზეთ „ცნ. ფურც“. ულებით უგულითადესი მად-ბა გამოუცხადოთ, როგორც ს, აგრეთვე ჩემის მოწაფეების ით აქაურ აფთიაქის პროვი-ს ბ. მიხეილ პავლეს ძე სა-როვს, რომელმაც რწმუნებულს ამო დიდი-ზანის წერა-კითხ-სკოლას შემოსწირა რამოდე-ბავშვების საკითხავი ქართუ-წიგნაკები. ღმერთს ვსთხოვ, მიმბაძველნი გამოსჩენოდეს მეწეობა აღმოუჩინოს ამ ღვთის არათ და უმწეოდ დარჩენილ ლისათვის, ახლა ჩვენ სკოლას შემდეგი კერძო, თუ საზო-საქველ-მოქმედო დაწესე-ებათაგან შემოწირულება: 20 ა-ენა და 90 ქართული წერის ანი რვეული „წერა-კითხვის ვრცელებელი საზოგადოები-ნ“, ერთი სართავი იარაღი ინა) ზუგდიდის სხვა და სხვა ლების სახელოსნო მასწავლეა-ბ. ვასილი გეთოასაგან და უკანასკნელი რამოდენიმე ქარ-ლი ბავშვებისათვის საკითხავი ნაკები.

ნიკო ბერიძე.

* ს. გულუხეთი. (სამეგრელო) გური შემთხვევა. აპრილის ოც-სამს აქაურმა მცხოვრებლებმა ან გიორგობის დღესასწაული, ც მრავალი მლოცველები იკ-ებიან წმინდი გიორგის ეკლე-ე და სტუმრებით სავსეა თი-ულის აქაურის ოჯახი. ერთ ურ მცხოვრებს თავად ამ დღეს ა ვეზაოიდან მოყვარე შეზარ-ებულმა ახალ-გაზდა ყმაწვილმა ის რევოლვერს შინჯვა დაუწ-რომელიც მომართული ყო-... და თავისი ბიცოლა კი გამოსალმა წუთის სოფელს. ეს უბედური მანდილოსანი გოგავას ცოლი იყო ქმარ-შვილით სავსე და ჯერ ახალ-გაზდა, ყველას გუ-ლი დასწყვიტა ასე საცოდავათ მის მა სიკვდილმა. მეტათ პატიოსანი და ძვირფასი მეოჯახე იყო და ასე სიკვდილის მსხვერპლი შეიქმ-ნა სხვისი დაუდევრობისაგან.— მამასახლისის უწესობა: იმავს დღეს ჯარში ნაცვლად იმისა, რომ რაიმე წესი დაეცვა სამიქაოს საზოგა-დოების მამასახლისი ისე უწე-სოთ მოიქცა, რომ ხანჯლის ფრი-ალით და რევოლვერის ცემით იქაურობა გააჯერა. ნუ თუ ეს არის წესიერების დაცვა?

აქაური

## სასარგებლო ცნობა

სააღდგომო კვერცხი (ისტორიუ-ლი აღნიშვნა). უწინდელ დროში კერპთ-თაყვანის მცემელთა და ებ-რაელთა შორის ჩვეულებადა ჰქონ-დათ, როდესაც ვინმე გამოჩენილ კაცთან მიდიოდნენ, რაიმე საჩუ-ქარს მიართმევდნენ ხოლმე, რო-მელიც მათ შორის სიყვარულისა და პატივისცემის სიმვოლოდ ითვ-ლებოდა. საწყალი ხალხი კი ამ შემთხვევაში საჩუქრად შინაურ ფრინველების კვერცხებსა ხმარობ-დნენ. ამიტომ ეჭვი არ არის, რომ მოციქულთა სწორის მარიამ მაგ-დალინელმა, როდესაც მეფე ტი-ბერთან საქადაგებლად მოვიდა, მიუტანა მას ზემოხსენებული სა-ჩუქარი—ქათმის კვერცხი. თვით კეისარმაც კარგად იცოდა, რომ საწყალი ხალხი საჩუქრად შინაურ ფრინველების კვერცხსა ხმარობ-და. სოლუნში (საბერძნეთში) წმ. ათანასეს მონასტრის წიგნთ-საცავ-ში იმყოფება ერთი ძველი ...ბ-ნული ხელთნაწერი, რ...ც სხვათა შორის მოხს...ლია, რომ აღდგომა დღეს მილოცვისათანავე კვერცხით დასაჩუქრების პირველი მაგალითი მოციქულთა სწორის მარიამ მაგდალინელმა გვიჩვენა. საბერძნეთიდან კვერცხით დასა-ჩუქრება აღდგომა დღეს უეჭველია საქართველოშიაც გადმოსულა. და-სავლეთ ევროპაში უწინდელ დრო-ში ფრანგების სამღვდელოება ვნე-ბითი კვირას კვერცხის ჭამას უკრ-ძალავდა, რის გამოც კვერცხებს სააღდგომოდ ინახავდნენ და რად-განაც აღდგომა დღისთვის კვერც-ხები ბლომად გროვდებოდა, ნა-წილს მეზობლებს საჩუქრად უგ-ზავნიდნენ. სხვა და სხვა დასავლეთ ევროპის ადგილებში კვერცხებს ვნებითი პარასკევს აკურთხებდნენ ხოლმე, ზერე კი აღდგომის პირ-ველ დღეს აიღეს ჩვეულებად. ნა კურთხი კვერცხებით ხალხი რა-... სასა... ... რულებდა, მერე კი სამღვდელოე-ბამ ეს თამაშობა აღუკრძალა და კვერცხების კურთხევის წეს-რიგი კი ისევ ჩვეულებაში დარჩა. ფრან-გების მეფეების ლიუდოვიკის XIV და ლიუდოვიკის XV დროს აღდ-გომის დღეს წირვის შემდეგ რამ-დენიმე ათეულ კვერცხს აკურთ-ხებდნენ და ხალხისთვის დასარი-გებლად სამლოცველო ემუტერში მიჰქონდათ ხოლმე. მეფე ლიუდო-ვიკი მე-XVI-ტე ამის გარდა თავის კაბინეტში შეღებილ კვერცხებისა-გან პირამიდებს აშენებდა და რო-დესაც ამგვარი თამაშით სიამოვ-ნებით დასტკბებოდა, კვერცხებს თავის მომხრეებს ურიგებდა ხოლ-მე. თავდაპირველად შეღებილ კვე-რცხებით ვაჭრობა პარიზის ვაჭარ-მა ლანტენიემ დაიწყო 1585 წ. პოლშაში წინად ჩვეულებად ჰქონ-დათ გახსნილების დროს ნაკურთხ კვერცხს იმდენ ნაწილად ჰყოფდ-ნენ, რამდენი სულიც ოჯახში იმ-ყოფებოდა, ამ პატარა კვერცხის ნაჭრებს ერთი-ერთმანეთს მიართ-მევდნენ და ამასთანავე ქრისტე აღდგომის დღესაც ულოცავდნენ ხოლმე. ეხლა იფიქრეთ, კვერცხი პატარა საგანია, მაგრამ ისტორიის მხრით რა დიდი მნიშვნელობა ჰქო-ნია წარსულ და ეხლანდელ დროში.

პავლე მოსულიშვილი

### შენიშვნები, ცრუ-მორწმუნოება-ნი და სოფლური წამლობანი *).

თუ გინდა, რომ ვერავინ დაგინახოს გულის ნაღველი და შავი უნიმნო კა-ტის თვალი ორივე ერთად დანაყე, გაა-ხმე; უბეში იქონიე და თვალებზე მო-ისვი ხოლმე; თუ შენს ხმას არ გაიგ-ონებს, თვით კი ვერ დაგინახავს.

* *

თუ გინდა შეიტყო, თუ ვინ არის ქურდი, ეს ლოცვა დაწერე პურზე: „ვის ახმაზი: ალა: დუდ: აააზა: იდან: ჯირ: აა: სახი ჯიხჯია: ამენან: სურფუქ ასტუდო: დუქ: კაეცექ: კალანერი: სნო-ვარ: მიერ: ანჩინ: ატარია: დე: მაუ-ნე: ამინ:: ჟგუდას მოუტეხეთ, სჭამონ. რომელიც ქურდი იქნება ის ვერასოდ-ეს ვერ ჩაულაპავს.

* *

ბალახის ცნობა. ერთ ნაირი ბალახ-ია, სახელად ჰქვია არფენს. ემმაკობა-საც თუ ვინმე შეუდგეს, გრძნეულმა უნდა ამოიღოს და ის რო ზედ შეინა-ხო, ვერ გავნებს მტერი? ვერც ავი სულიერი და ვერც დაკაკლდების საქო-ნელი, არც თეთრი, არც სხვა სიმდი-დრე. იმ ბალახის ნიშანი ეს არის: თითონ გრძელია და მაღალი, მისი ყვავილი მრგვალია, ყოველ ყვავილზე უფრო წითელია, მიწაზე ამოვა, მისი ფოთოლი კაცის ხელისავით გაღეს ი-ლია და თესლი მისი, როგორც ბრო-წეულის მარცვალი ისე არის. იმისი ნახვა თუ გინდა გრძნეულის უფრო მა-ლე მონახავს. თუ იპოვო, მადლი და უთხარი, რომ შენ ამა და ამ საქმისა-თვის მინდებხარ თქო; ამოიღე. რაც შენ გინდა ის შეუძლია.

* *

შაკიკის (ერთნაირი თავის ტკივილის) შელოცვა და მისი წამალი. შაკიკი შა-მოეჩვია შაკიკასა ყანასაო, ისე სჭამდა რკინასაო, როგორც ხარი თივასაო. გაუწყრა წმინდა გიორგი, გაიპარა და-ლასაო. ამ გვარის ლოცვით ჩინჩარი დაყდლიმეთ, ღვინოთი დასველეთ, ბლ-ომად მარილი წააყარეთ, აბრეშუმის ცხვირსახოცი გამოხვიეთ და ტკივანა ადგილს შემოაკარით. მეორე ნაირი ამისი წამალი: თხის მატყლი კარის შემოსა-გალ ფეხის საბიჯზედ კვერცხით აურიეთ და მიადევით. მესამე ნაირი მისივე წამალი: თეთრი საკმელი გახურებულ კეცზედ ძმარში აურიეთ, ადუღეთ და სველად ქაღალდზედ დაცხეთ ნელთბი-ლი მიადევით, მით შეუკარით და მე-სამე დღემდის ჰქონდეს და უშველის.

## დეპეშები

(როსეთის დეპეშათან სააგენტოსაგანი).

7 მაისი.

**პარიზი.** სენატი. მუეომ ფოს-ტალიონების მიერ მუშაობის აღ-კვეთის შესახებ განაცხადა იგივე, რაც დელომბრმა და დიუპუიმ პა-ლატაში განაცხადეს. ჩამოთვალა რა ზომები იქმნა მიღებული და სთქვა, იმედი მაქვს, რომ კრიზი-სი მალე მოისპობაო.

**პარიზი.** პიკარის ვექილმა მთა-ვარ-ბრალმდებელს სთხოვა, რომ პიკარი დროებით განთავისუფლე-ბულ იქმნას.

**პარიზი.** მუეომ, პოლიციის პრეფექტმა ბლანმა და სენის დე-პარტამენტის ფოსტათა დირექ-ტორმა გადაწყვიტეს გამოუცხა-დონ ფოსტალიონებს, რომ თუ ხვალ მუშაობა არ განაახლეს, და-თხოვნილ იქმნებიან.

**პარიზი.** მუეომ ზომები მიიღო წერილების დასარიგებლად. ზოგი ერთ დაწესებულებათ თავიანთი კა-ცები დაუთმეს მუეოს წერილების გასარჩევად. დაარიგებენ წერი-ლებს ჯარის კაცები თუ პალატა-ში ლაპარაკი აღძრა ვინმემ ამის შესახებ, მთავრობა განაცხადებს, რომ რადგანაც ფოსტალიონები სამსახურში ითვლებიან, მათი მე-თაურები დათხოვნილ იქმნებიანო.

**პარიზი.** პალატა. დიდი აღე-ლვებაა. ზოგი დეპუტატი შეეკით-ხა ფოსტალიონების მიერ მუშაო-ბის აღკვეთის შესახებ. პალატამ გადასწყვიტა, ეხლავე შეუდგეს ამ საგნის განხილვას. ბორდრიდ ასო-ნმა იკითხა, მთავრობას აზრად რა ზომები აქვს მიიღოსო. სერმა გა-ნაცხადა, რომ მუშაობის აღკვეთა

*) „ცნობ. ფურც.“ № 814.

ხელს უშლის ვაჭრობასაო. დედოფალმა მიუგო რომ წერილებს სამოდგანვე დაურიგებენო.

**ჰააგა.** აი სიტყვა, თქმული დე-ბოფორის მიერ კონფერენციის დროს: „უავგუსტოესის დედოფლის სახელით, მაქვს პატივი მოგესალმოთ და გამოვაცხადო მადლობისა ␊ ღრმად პატივცემის გრძნობანი სრულიად რუსეთის იმპერატორის მიმართ, რომელმაც დიდი პატივი სცა ჩვენს ქვეყანას. რუსეთის იმპერატორმა, რომელსაც მთელი განათლებული ქვეყანა ტაშს უკრავს, მოისურვა განხორციელება იმპერატორის ალექსანდრე I-ის სურვილისა, სახელდობრ იმისა, რომ ევროპის მეფენი და ხალხნი კარგს მეგობრულს განწყობილებაში იყვნენ, რომ ერთმანეთს გაჭირვებაში ჰშველოდნენ. აღფრთოვანებული თავისის უავგუსტოესის წინაპრის კეთილ შობილურის ნაანდერძევით, მისი-უდიდებულესობა ურჩევს აქ შეკრებილთ, სახელმწიფოთა წარმომადგენელთ, გამოსძებნონ რამ საშუალება, რათა საზღვარი დაედოს განუწყვეტელ შეიარაღებას და თავიდგან აიცდინოს უბედურება, რომელიც მთელს ქვეყანას მოელის. დღე კონფერენციის კრებისა, ეჰვს გარეშეა, ამ საუკუნის შესანიშნავ დღედ იქმნება ჩათვლილი“.

„მისმა უდიდებულესობამ, ჩემმა უავგუსტოესმა დედოფალმა, მოისურვა თქვენს განკარგულებაში ჰყოს უპირველესი ისტორიული ნაშთი. ის დარბაზი, სადაც თქვენ დღესა ბრძანდებით, გამშვენებული მე-17 საუკუნის საუკეთესო მხატვრების მიერ, აგებულია პრინც ფერდინანდ-ჰენრიხის ქვრივის მიერ, ამ დარბაზის სურათთა შორის, არის ერთი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, სახელდობრ ის, რომელიც შემოსასვლელ კარებს ზემოდ არის დახატული. გამოსახულია „მშვიდობიანობა“. ჩემის აზრით, ეს ალლეგორია მშვენიერი აღმნიშვნელია თქვენის შრომისა. ამ შრომის დამთავრების შემდეგ შეიძლება ვთქვათ, რომ „მშვიდობიანობა“, რომელიც ხელმწიფემ ამ დარბაზში შემოიყვანა, გავიდა აქედგან იმ იზრით, რომ კაცობრიობას კეთილდღეობა მოჰფინოს».

**პარიზი.** მუჟომ შეატყობინა ფოსტალიონებს, ვინც ეხლავე მუშაობას არ განაახლებთ, ადგილს დაჰკარგავთო. ამ საშუალებას არავითარი შედეგი არ მოჰყვა. დღეს, ნაშუადღევს შეტაკება მოხდა ფოსტამტტთან. გარდაწყვეტილ იქმნა, რომ წერილების დატარება ჯარისკაცებს მიანდონ. როდესაც ეს ჯარის კაცები საფოსტო ეტლებით ფოსტამტიდგან გამოდიოდნენ, ფოსტალიონებმა გზა შეუკრეს, ამის გამო იმათ და პოლიციის შორის ჩხუბი მოხდა. რამდენიმე პოლიციელი დაჭრილ იქმნა.

**პარიზი.** ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღე დიდის ამბით იდღესასწაულეს, საელჩო ეკკლესიაში, სხვათა შორის, იყვნენ: დიდი მთავარი მიხეილ მიხეილის ძე, რესპ. პრეზიდენტის წარმომადგენელი გენერალი ბილიო, მინისტრი დელკასე, გენერლები, ადმირალები, სამხედრო და საზღვაო მინისტრების წარმომადგენლები.

**პარიზი.** პალატა. დიუპუიმ განაცხადა ნებას არ მივსცემთ, რომ იმათ მუშაობა აღკვეთონ, ვინც სახელმწიფო სამსახურში არიან. (ტაშის ცემაა). თუ ფოსტალიონებმა, სთქვაშემდეგ მინისტრმა, მუშაობა არ განაახლეს, იმათ ადგილას სხვებს დავნიშნავთო. მთავრობა არავის მოთხოვნილების წანაშე არ მოიხრის ქედსო. (ტაშის ცემაა და „ვაშას“ ძახილი გაისმის, რომელსაც მაღალის ხმაურობით არღვევენ მემარცხენენი). კამათი დასრულდა. პალატამ, 400 ხმით 177 ხმის წინააღმდეგ, უარჰყო სოციალისტის მილიერანის ფორმულა, რომელშიაც ნათქვამია, ვწუხვართ, რომ არ იქმნა ასრულებული ის, რასაც ფოსტალიონებს დაჰპირდნენო. შემდეგ 388 ხმის უმეტესობით 112 წინააღმდეგ, მიღებულ იქმნა ფორმულა, რომელითაც პალატა იწონებს მთავრობის დეკლარაციას, ამასთან ამ დროს ვილაცამ დაიძახა „გაუმარჯოს საყოველთაო შეთქმულობას“-ო.

**ბრიუსელი.** დღეს, საღამოთი, 300 კაცისაგან შემდგარი ბრბო სამხედრო საკრებულოს წინ შეიკრიბა ბრბო დრეიფუსისა და პიკარის მიმართ „ვაშას“ გაიძახოდა „საკრებულოს“ ქვები დაუშინეს. სამი აფიცერი დაჭრილ იქმნა.

**პარიზი.** ყველა ფოსტალიონებმა გადასწყვიტეს მუშაობა განაახლონ.

**პეკინი.** დღეს ჩინეთის ორმავე დირექტორებმა და ინგლის-გერმანიის სინდიკატის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულობას ტიან-ძინ-ჩინგ-კიანგის რკინის გზის შტოს შესახებ.

**სტამბოლი.** გარეშე საქმეთა სამინისტროში მინისტრ ტევფიკ-ფაშის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია. კომისიამ უნდა განიხილოს საგანი მცირე აზიის ვილიეტებსა და იმპერიის სხვა ადგილებში ობოლთა სახლების დაარსების შესახებ.

**კოპენჰაგენი.** ერვარდ ბრანდეს სამართალში იქმნა მიცემული უზნეო თხზულების გამოქვეყნებისათვის.

**სტამბოლი.** სულთანმა უბოძა ორდენი „იმტიაზი“ გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგს და სომეხთა საერო კომიტეტის თავმჯდომარეს არტინ-ფაშა დადიანს.

---

**ქართული სტამბები და დაბეჭდილი წიგნები მეჩვიდმეტე საუკუნიდან (1629 წლიდგან)*).**

ტფილისის სტამბები და წიგნების ბეჭდვა XIX საუკუნეში.

297, განდეგილი, პოემა, ილია ჭავჭავაძისა 1883 წ. ტფ.

278, გლახის ნაამბობი, მისივე 1879 წ. ტფ.

279, დედა ␊ შვილი, დრამატიული ეპიზოდი, მისივე 1884 წ. ტფ.

280, კაცია ადამიანი მოთხრობა მისივე 1880 წ. ტფ,

281, დიმიტრი თავდადებული, მისივე, 1880 წ. ტფ.

282, რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან მისივე.

283, ლექსთა კრება, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა 1878 წ. ტფ.

284, სალამური, ლექსთა კრება, გამოცემა მისივე 1878 წ. ტფ.

285, საჩუქარი, ლექსთა კრება, გამოცემა მისივე 1878 წ. ტფ.

286, ქართული სახალხო ლექსები, მისივე 1877 წ. ტფ.

287, ქართული მწერლობა მე-XII—XVI საუკ. მისივე 1885 წ.

288, სურამის ციხე, მოთხრობა დ. ჭონქაძისა 1879 წ. ტფ.

289, სამწერლო თაიგული, ილ. ჭყონიასი, 1880 წ. ტფ.

290, ჭიანური, ლექსები. 1875 წ.

291, ხორველის ლექსი, 1880 წ.

292, ლექსები თამარ მეფისა, დავითისა და ბაგრატისა, ვ. ხოტენაშვილისა 1889 წ. ტფ.

293, ხუმრობა ვოდევილი, ორ მოქმ. 1889 წ. ტფ

294, ლექსი ჩინოვნიკების ნატვრაზე, ს. ხუსკივაძისა 1880 წ.

295, ორ ძმა ობლის ლექსი, პ. ჯიხვაძესი 1883 წ. ტფ.

ჰაეროსტატი, კომედია მ. ჯორჯაძისა 1878 წ.

296, მოდი და ენდეთ ქალსა, ვოდევილი 1879 წ. ტფ.

297, სიყვარული, ლექსები, ან. ჯუღელისა 1878 წ. ტფ

298, კლოდგე, ვიქტორ ჰიუგოსი, თარგმანი გოლა ჩიტაძისა 1885 წ. ტფ.

299, ქუდ-ბედიანი, მოთხრობა, ეკ. ასათიანისა 1886 წ. ტფ.

300, ოთხი დღე, მოთხრ. გარშინისა, 1885 წ. ტფ.

301, მხდალი, მოთხრ. ვ. გ... შინისა 1885 წ. ტფ.

302, ახალ სალდათებზე ლ... დ. გივიშვილისა 1887 წ. ტფ.

303, მარინე, მოთხრობა, ...ასი 1878 წ.

304, სურათები გლეხ-კა... ცხოვრებიდან, ეკ. გაბაშვილ... 1888 წ. ტფ.

305, დამაკვირდი, აფორიზ... 1887 წ. ტფ.

306, ლოთი კაცის სიკვდ... მოთხ. გუდოკინსისა 1886 წ. ტ...

307, თამირიანი, რაფ. ერის... ვისა 1887 წ. ტფ.

308, ლექსნი თეიმურაზ მეფ... 1887 წ. ტფ.

309, ციცინათელა, საყმაწვი... ამბები 1887 წ. ტფ.

310. სამი მსხვერპლი, მოთ... დ. კარიჭაშვილისა 1887 წ. ტ...

311, გორგალა, საყმაწვი... მოთხრობა 1887 წ. ტფ.

312, ღამის მეხრე ცეცო, ... თხრობა ს. მგალობლიშვილ... 1887 წ. ტფ.

313, ნაკვესი, ანუ მოსწრე... ლი სიტყვანი 1887 წ. ტფ.

314, ქართველი მწერლ... ვახტან VI მ. ნასიძესი 1888 ...

315, კრიტიკული განხი... „ოთარაანთ ქვრივისა“ 1888 ...

316, სიბრძნე ბალავარისა, თ... ლი სოფ. პალესტინელისა 18...

217, ფშაური ლექსები, შე... ბილი დავით ხიზანაშვილის ... 1887 წ. ტფ.

318, ჰამლეტი შექსპირისა, ტ... თარგ. ივ. მაჩაბლისა 1887 წ. ...

319, ოტელლო, მისივე თარგ... 1888 წ. ტფ.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 812.

---

## რედაქციისაგან

**ჯუმათში.** თმიანს თქვენი წერ... დაბეჭდვა მოუხერხებელია.

**ხაშურში** ან—ძეს. თქვენი წერ... ვერ იბეჭდება.

**ჩოხატაურში** მოვაჭრეს. ად... სტრაციის ქება უსაბუთოა, ვერაფერი... ლაა გაზეთისათვის.

**ჯოყოლეთში** ჯოყოლელს. თ... წერილის დაბეჭდვა შეუძლებელია, ... გან საბუთები ხელთ არა გვაქვს.

---

გამოვიდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამ. საზოგ. წ...
მაღაზიაში
**იმერული**
**სცენები**
შეკრებილი **კ. მესხის** მი...
ფასი 5 კაპ.
ვინც „ცნობის ფურცლის“ ...
რედაქციიდან გამოიწერს ერთბ...
25 ცალს, იმას ერთ მანათ...
ეთმობა. (12—1...